საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-148

15/02/2019

ქ. თბილისი

ახალციხე-ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის შუახევი-ახალციხის მონაკვეთის (90 კმ სიგრძე) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის”ახალციხე-ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის შუახევი-ახალციხის მონაკვეთის (90 კმ სიგრძე) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა №17 (11.02.2019);
2. სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის №17 (11.02.2019) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, შუახევის, ხულოს, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი